



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძე ივანე (ვანიკო) დავითის ძე



ი. აბაშიძე

აბაშიძე ივანე (ვანიკო) დავითის ძე [17 (29). I. 1896, ქუთაისი, - 1937], მსახიობი. საქართვე. დამს. არტისტი (1934). ქუთ. ქართული გიმნაზიის დამთავრების (1918) შემდეგ, 1920-22, სწავლობდა თბილ. კონსერვატორიის ვოკალურ ფაკ-ტზე. 1925 დაამთავრა ა. ფალავას დრამ. სტუდია. 1924-36 იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. ა. წარმატებით ასრულებდა სახასიათო და კომედიურ როლებს. მის მიერ შექმნილი მკაფიო, დეტალურად დამუშავებული სცენური სახეებიდან აღსანიშნავია სოლომან მორბელაძე (ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, დ. კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით), იბრაჰიმი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ხაბასლო (ა. გლებოვის „ზაგმუკი“), გიორგი (ვ. კირშონის „ქართა ქალაქი“), მუნჯი სიმონა (ს. იანოვსკის „ყამირი“), თორღვაი (ვ. რობაქიძის „ლამარა“), როლერი (ფ. შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 1936-იდან ა. ლანჩხუთის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. დადგმები: შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“ (ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით), ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, ვ. ბუხნიკაშვილის „ნაბიჭვარი“ (ვ. შკვარციანის კომედიის „სხვისი ბავშვის“ მიხედვით). მისი სპექტაკლებისათვის დამახასიათებელი იყო დრამატურგიული სახეების ღრმა სოც.-ფსიქოლოგიური გახსნისაკენ სწრაფვა, ანსამბლურობა. დიდ ყურადღებას უთმობდა მსახიობის აღზრდას.

30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

